ხაშურის მოამბე

№29 (450) 5 აგვისტო, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ 4 საკითხს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 მაისის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ხაშურში, იური გაგარინის ქუჩის VIII ჩიხისა და მისი განშტოებებისათვის ,,ელია წინასწარმეტყველის“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულბულისციხეში მდებარე ცენტრალური N2 ქუჩისათვის სასულიერო პირის „დეკანოზ დავით გრიგალაშვილის“ ქუჩის სახელის მინიჭებისთვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა კოტე ფრუიძემ წარმოადგინა.

სხდომას ესწრებოდნენ მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი დავით კიკნაძე. პროექტები საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიამ და მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წარმოადგინეს.

ხაშურში აქტიურად გრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის დეტალების განხილვას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას და პროექტში დეტალების კორექტირებას ემსახურებოდა.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობას, დაახლოებით, 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ, სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

ა ლ ო ო ბ ა

მარცვლეული კულტურების აღება გეგმაზომიერად მიმდინარეობს

ალოობა-2024 ძალაში შევიდა. მარცვლეული კულტურების მოსავლის დაბინავების კამპანია, როგორც წესი, საქართველოში, კახეთის რეგიონიდან იწყება და შემდეგ, მეთოდურად, დასავლეთ რეგიონებში ინაცვლებს. ივლისის შუა რიცხვებისთვის, კახეთში, ფაქტობრივად დასრულდა ეს პროცესი და ალოობამ შიდა ქართლის მუნიციპალიტეტები მოიცვა. ჩვენ შევხვდით ა(ა) იპ „სოფლის მეურნეობის სააგენტოს“ ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარ სპეციალისტს **ჯემალ გელაშვილს** და ვთხოვეთ, გაზეთის მკითხველისთვის უფრო ფართოდ მოეთხრო ჩვენს მუნიციპალიტეტში ალოობა 24-ის შესახებ. როგორც ბატონმა ჯემალმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მიმდინარე წელს, მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობები შემდეგნაირად იყო: ხორბალი- 1950 ჰექტარი, ქერი-400 ჰექტარი, შვრია-600 ჰექტარი. ალოობა 16 ივლისიდან დაიწყო და დღეისათვის აღებულია: ხორბალი-200 ჰექტრამდე, ქერი-300 ჰექტრამდე და შვრია-350 ჰექტრამდე. სამწუხაროდ, ალოობის ტემპზე ძალიან იმოქმედა უამინდობამ. წვიმები საშუალებას არ იძლევა, რომ კომბაინებმა სრულფასოვნად იმუშაონ. ამიტომ, წინასწარ დაგეგმილი 15 აგვისტოს ნაცვლად, ალოობის დასრულებამ შეიძლება რამდენიმე დღით გადაიწიოს.

დღეისათვის, ძირითადად, გომის და ფლევის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიდის სრული ტემპით მუშაობა. თუმცა, არეალი თანდათან ფართოვდება. ამ წუთისთვის 6 ერთეული კომბაინია სამუშაოებში ჩართული და თუ საჭიროება დადგება, არც იმის პრობლემაა, რომ მათი რიცხვი გაიზარდოს. მოსავალს არ უჩანს ცუდი პირი. საშუალო მოსავლიანობა დღეისათვის ხორბლის 3,5 ტონაა, ქერის კი 2,5 ტონა. არის პროგნოზი, რომ ეს შედეგი უფრო გაიზარდოს. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები(რწმუნებულები) აქტიურად არიან ჩაბმული ალოობის პროცესში. მერიაც, აქედან გამომდინარე, სრულად ფლობს ინფორმაციას და მზადაა, ჩვენთან ერთად, ნებისმიერი დახმარება, თუ ამის საჭიროება შეიქმნა, ადგილზე აღმოუჩინონ ფერმერებს-განაცხადა საუბრის დასასრულს ბატონმა ჯემალმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაიმართა შემდეგი სახის აქტივობები:

საანგარიშო წლის დასაწყისშივე, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთდა საახალწლო ღამის კონცერტს, ტკბილეული და საახალწლო საჩუქრები გადაეცათ: დედათა და ბავშვთა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, „მომავლის სახლისა“ და მე-2 საჯარო სკოლასთან არსებულ დღის მოვლის ცენტრის ბავშვებს, სოფ. წაღვლში მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, 15 კრიზისულ ოჯახს.

7 იანვარს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, გაიმართა კონცერტი ადგილობრივი და მოწვეული მომღერლების მონაწილეობით. აგრეთვე გაიმართა გამოფენა გაყიდვა ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, სამსახურის წარმომადგენლებმა საშობაო ალილოსთვის განკუთვნილი ტკბილეული სასაჩუქრე პაკეტები წმინდა დიმიტრი ყიფიანის პანსიონში მიიტანეს.

14 იანვარს, საქართველოში სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, ხაშურში, სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

20 თებერვალს, დაბა ბაკურიანში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნასთან დაკავშირებით, განხორციელდა ხაშურელი მეწარმე ქალბატონების ღონისძიებაზე დასწრების უზრუნველყოფა. მეწარმეებმა საკუთარი ნაწარმი წარმოადგინეს აღნიშნულ ღონისძიებაზე.

25 თებერვალს, სურამში, უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას დაბადების დღესთან დაკავშირებით, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მისი მემორიალი.

6 მარტს, სოფ. ოსიაურთან, ქართველი გმირებისა და იუნკერების ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მემორიალი.

3 მარტის დედის და 8 მარტის ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ დამლაგებელ და პოლიციაში დასაქმებულ ქალბატონებს გადაეცათ ყვავილების თაიგულები და ტკბილეული.

28 მარტს განხორციელდა ანზორ ერქომაიშვილის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების და მათი ნამუშევრების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

9 აპრილს, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინითა და ტიტებით შეიმკო დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. ჩატარდა მოსახსენიებელი პარაკლისი.

10 აპრილს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში კომპოზიტორ კახა ცაბაძის საღამო გაიმართა. სამუსიკო სკოლის სიმებიანი, საფორტეპიანო და საგუნდო კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა კახა ცაბაძის კომპოზიციები თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულეს.

26 აპრილს, სოფ. ქვიშხეთში, გაიმართა სახალხო დღესასწაული „ყიფიანობა“. ღონისძიებათა ფარგლებში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა გამოფენა და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტი. მოხდა მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ბეჭვდითი მომსახურების ხელშეწყობის ფარგლებში, დახმარება გაეწია ხაშურის საპატიო მოქალაქეს, მურად მთვარელიძეს, წიგნის ,,ამბები მთაზე და ჩემზე'' გამოსაცემად.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. აგრეთვე, ყვავილებითა და სიმბოლური საჩუქრებით დასაჩუქრდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ქურდაძე.

ბავშვთა და მოზარდთა XV რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავი“ გალა კონცერტზე მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით იქნა უზრუნველყოფილი ანსამბლი „ცხრამუხა“.

ქ. გორში, ,,ერეკლეს აბანოს“ შენობის წინ, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის ,,მეგზური“ - ის ორგანიზებით, საზეიმოდ გაიხსნა შიდა ქართლში ტურისტული სეზონი, რომელშიც გორის, კასპის, ქარელის მუნიციპალიტეტებთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტიც მონაწილეობდა.

გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 26 მაისი. მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა სამმო სასაფლაო და სოფელ ამვისში, პატრიოტი მოქალაქის, დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი. ქალაქის ქუჩებში მოეწყო ეროვნული სამოსით კოსტიუმირებული მსვლელობა. დიმიტრი ყიფიანის სახ. სკვერში მოეწყო ადგილობრივი შემოქმედების ნამუშევრების, მეწარმეთა ნაწარმის გამოფენები. პარალელურად, ქალაქის ცენტრალურ სკვერში არსებულ მინი სტადიონზე პეინტბოლის ტურნირი ჩატარდა. ღონისძიებების ფარგლებში, რკინიგზის სადგურის ფოიეში, ახალგაზრდა ხაშურელი ფოტოგრაფის, ლანა ბლიაძის ფოტოგამოფენა გაიხსნა. დღის ბოლოს კი, ადგილობრივი და მოწვეული პოპულარული მომღერლების მონაწილეობით, საზეიმო კონცერტი გაიმართა. სადღესასწაულო განწყობა ფეიერვერკმა დაასრულა.

27 მაისს, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკისა და პოეზიის საღამო გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსების ლაურეატები და პოეტი ნანა ცინცაძე. ღონისძიება განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

29 მაისს, ქალაქ ბათუმში, ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენაზე „EBIT-2023“, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, მონაწილე 85 ქართულ და საერთაშორისო კომპანიას შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოჩინდა ადგილობრივი ოსტატების მიერ.

მაისის თვეში, ლატვიის დამეგობრებულ ქალაქ ბაუსკას ფესტივალზე „ოქროს მუხის ქვეშ“, მიწვეულ ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შემენილ იქნა საჩუქრები.

მაისის თვეშივე, პოლონეთის დამეგობრებულ ქალაქ ტარნოვში, ქალაქის დღესასწაულზე მონაწილეობისათვის, დაფინანსდა სპეციალურად ამ დღესასწაულზე მიწვეული მუნიციპალური ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ფრესკა“ (12 წევრი). ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის, მასპინძელ მხარეზე გადასაცემად, შემენილ იქნა საჩუქრები.

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ღია ცის ქვეშ, საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, მოეწყო საბავშვო კულტურულ-სპორტული აქტივობები, მოწვეულმა ანიმატორებმა იზრუნეს ბავშვების საზეიმო განწყობაზე. ამასთანავე, სადღესასწაულო ტორტით, წვენებითა და ბუშტებით დასაჩუქრდნენ „მომავლის სახლის“ ბენეფიციარები.

14 ივნისს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ახალგაზრდა მომღერალმა სოფიკო კანდელაკმა სოლო კონცერტი გამართა. შესრულებული იყო თანამედროვე და კლასიკური კომპოზიციები.

გაიმართა ხაშურელი მხატვრის, ლალო გელაშვილის პერსონალური გამოფენა, რომელიც პარალელურად საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით, დაფუძნდა საბავშვო წიგნის ფესტივალი „ასფურცელა“, რომელიც 25 ივნისს, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში გაიმართა. საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებმა, საბიბლიოთეკო გაერთიანების ყველა ფილიალსა და ხაშურის ცენტრში, უმასპინძლეს საბავშვო მწერლებსა და გამომცემლობებს: „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა L“, „მანდარინი“, „მახარობელი“. ფესტივალის ფარგლებში, ღია ცის ქვეშ, ჩვენება გამართა თოჯინების თეატრმა და პატარების განწყობაზე იზრუნეს ანიმატორებმა.

27 ივნისს, ტაშისკრის ბრძოლის 414-ე წლისთავთან დაკავშირებით, ქვიშხეთის კულტურის სახლში, გაიმართა ამ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავი კონცერტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მხატვრულ-შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. ჩატარდა პარაკლისი.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სურამისა და ხაშურის ეპარქიის და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, 9 ივლისს, “ახალი ბანას” მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ “შავნაბადას” სოლო კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ახალი ბანას ვაჟთა ანსამბლმა.

29 ივლისს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ღონისძიება-”მუსიკალური საღამოები” გაიმართა. ჩატარდა საბავშვო გასართობი აქტივობები, ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. საღამო დაასრულა მოწვეული მომღერლების გალა-კონცერტმა.

8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, გვირგვინებით შეიმკო ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ომში დაღუპული სამი გმირის საფლავი.

25 აგვისტოს, საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, დაბა სურამში, ღია ცის ქვეშ გაიმართა საზაფხულო მუსიკალური კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, გვირგვინით შეიმკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი.

სექტემბრის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „თბილისობის“ დღესასწაულზე და ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღირსეულად წარმოაჩინეს ხაშურის მუნიციპალიტეტი.

13 ოქტომბერს, დიმიტრი ყიფიანის მუზეუმმა უმასპინძლა თინა ცხადაძის გამოფენას. გამოიფინა იაპონური მანგის სტილით შექმნილი შერეული ტექნიკით შესრულებული გრაფიკული ილუსტრაციების სერია, ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ თემაზე. ღონისძიების ინიციატორი და მხარდამჭერები: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

14 ოქტომბერს ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ხაშურქალაქობა -2023“, რომელიც მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში ხაშურს სტუმრობდა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ლატვიის და უკრაინის დამეგობრებული ქალაქების დელეგაციები. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაიმართა საზეიმო მსვლელობა და კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლები. პარალელურად, შედგა ადგილობრივი მეწარმეების, მხატვრების ნამუშევრების გამოფენები. პატარების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები და თეატრალური წარმოდგენის პერსონაჟები. დღესასწაულზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ ქალაქის საპატიო მოქალაქეები, წარმატებული პედაგოგები, სპორტსმენები და დამსახურებული მწვრთნელები, 2023 წლის 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტები. „ხაშურქალაქობის“ დღესასწაულის ფარგლებში ხაშურელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ნართები“ და ჯგუფი “გუფი ლენდი”.

ქალაქის დღესასწაულზე, საზეიმოდ გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, დელეგაციები ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებიდან. სტუმრებმა ცენტრს თავიანთი მუნიციპალიტეტების სამახსოვრო ბუკლეტები გადასცეს.

„ხაშურქალაქობის” ფარგლებში ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მხატვარ ლალო გელაშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა.

3 ნოემბერს, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ხაშურის საპატიო მოქალაქის, მწერალ მურად მთვარელიძის 70 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

ნოემბრის დასაწყისში, ასევე მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, გაიმართა მომღერალ მარიამ ობოლაძის სოლო კონცერტი.

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, “მომავლის სახლის” ბენეფიციარებისთვის, შემენილ იქნა თბილისში, კინოთეატრ “კავეას” ანიმაციური ფილმის და 3D სეანსზე დასასწრები ბილეთები და ხემსი. მოხდა მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

6 დეკემბერს, ხაშურის სამუსიკო სკოლაში, საქართველოს კულტურის სამინისტროს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატ ვახტანგ(ვატო) ჟორდანიას საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა.

25 დეკემბერს, ხაშურში საახალწლო ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო.

საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრებ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადაეცა.

ასევე, საახალწლო ნობათი გადაეცათ „მომავლის სახლს“, მეორე საჯარო სკოლასთან არსებულ „დღის მოვლის ცენტრს“, უკიდურესი საჭიროების მქონე მრავალშვილიან ოჯახებს.

30 დეკემბერს, ხაშურში, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით და ხაშურის მერიის მხარდაჭერით, საახალწლო ღონისძიება გაიმართა. მოეწყო საშობაო ბაზრობა, ღონისძიებაზე მოსული აუდიტორია გაახალისა კოსტიუმირებულმა გმირებმა, პატარები შეხვდნენ თოვლის ბაბუას და დაესწრნენ მრავალფეროვან საბავშვო პროგრამას. ღონისძიებების სერია ჯგუფების - “რეგიონისა“ და „ალილოს“ გრანდიოზული კონცერტით და ფეიერვერკით დასრულდა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობისა და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმებში, სხვადასხვა პერიოდში, გაიმართა მხატვართა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევართა გამოფენები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა შემოქმედებითი ანსამბლი თუ შემსრულებელი დაკმაყოფილდა ტრანსპორტირებით, რათა მონაწილეობა მიეღო

(დასასრული III გვერდზე)

(დასასრული)

სხვადასხვა დონის კონკურს-ფესტივალებში, ფართოდ გაეტანა ხაშურის სახელი და პოპულარიზაციაგაეწიამუნიციპალიტეტისკულტურულიცხოვრებისათვის.კერძოდ, ანსამბლი „ქართლი“ იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, მრავალჟანროვან საერთაშორისო ფესტივალ-აპოლონიადა-2023’’- ში, ქ. გორსა და ქ.თბილისში ფესტივალებზე, ქ. ბორჯომში ,,კულტურული სოლიდარობის“ ფესტივალზე; ანსამბლი ,,ბექთარი“ ახალციხეში ფოლკლორულ ფესტივალზე; ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ვოკალური ჯგუფი - ქ. ქუთაისში, ფესტივალზე ,,ქუთაისურ გაზაფხული“; ანსამბლი „ცხრამუხა“ - ფესტივალზე „იპოვე შენი ვარსკვლავი“; მუსიკალური სკოლის მოსწავლეები - ქ. თბილისში ფესტივალ „ბელკანტოზე“; ხაშურის სამუსიკო სკოლის მასწავლებლის ფატი სადაღაშვილი მოსწავლეებით - თურქეთში, ქ. სიდეში ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა მე -11 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე.

ტურიზმის მიმართულებით, ხაშურში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაფინანსებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის ტურისტული კავშირის ,,მეგზური“ -ს ორგანიზებით, ,,სასტუმროების მართვის“ თემაზე ჩატარდა ტრენინგი. რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო სასტუმროების და ღვინის მარნების მეპატრონეები.

ჩატარდა ტრენინგი თემაზე: ,, სოციალური მედიის მართვა“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული საოჯახო სასტუმროების, ღვინის მარნების მეპატრონეებმა და სხვადასხვა აიპების ციფრული მედიის სპეციალისტებმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, ხაშურელმა მცირე მეწარმეებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო, ქ. თბილისში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში „ციფრული მარკეტინგი“.

გორის სასტუმრო ,,ლაქში“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაფინანსებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის ტურიზმის კავშირ ,,მეგზურის“ მხარდაჭერით, ,,სურსათის უვნებლობის “ თემაზე ტრენინგი ჩატარდა. რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტებში არსებული საოჯახო სასტუმროების, ღვინის მარნების და კვების ობიექტების მეპატრონეები.

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში:

ქ. ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლასა და სოფლად არსებულ სასპორტო წრეებზე, რეგულარულად იმართება წვრთნები პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ სპორტულ სახეობებში: ქ. ხაშურში: ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, რაგბი, ბატუტზე ხტომა, მკლავჭიდი;

დაბა სურამში: ძიუდო, ფეხბურთი, რაგბი;

სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სოფ. გომში – ჭადრაკი, ფეხბურთი, სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა, სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი, სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო; სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა, სოფ. ფლევში – ფეხბურთი, ჭიდაობა, სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი.

საწვრთნელო-სააღმზრდელო პროცესში ჩართულია 1 400-მდე ბავშვი/სპორტსმენი.

ხაშურის კომპლექსური სკოლის აღსაზრდელები მუდმივად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში და აღწევენ კიდეც წარმატებებს.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღმნიშვნელ საზეიმო ღონისძიებაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები:

ლევან ნოზაძე- საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის თავისუფალ ჭიდაობაში;

გიორგი კვინიკაძე - საქართველოს დამსახურებულ მწრთვნელი;

ვახტანგ კვინიკაძე - საქართველოს დამსახურებულ მწრთვნელი;

გიგა ოდიკაძე - საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისათვის ძალოსნობაში;

ავთანდილ ხარაზიშვილი - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

მიშიკო ნოზაძე - ევროპის თასი I ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზ ნოზაძე - საქართველოს დამსახურებულ მწრთვნელი;

გიორგი ნასყიდაშვილი - ევროპის თასი II ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზ ნოზაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

გიორგი გელაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე კადეტებში I ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მალხაზი ნოზაძე - საქართველოს დამსახურებულ მწრთვნელი;

მიშიკო გაფრინდაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკებში III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

მულაძე დიმიტრი - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

ხვიჩა გაფრინდაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე II ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა სამბოში;

დიმიტრი მულაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის;

ზაურ დვალაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში I დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

ბეგლარ ხარშილაძე - წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის

გიორგი გელაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე კადეტებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

ნოზაძე მალხაზი- წარმატებული სპორტსმენის აღზრდისათვის

ხვიჩა გაფრინდაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე, ახალგაზრდებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

დიმიტრი მულაძე - მწვრთნელი

მიშიკო გაფრინდაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკებში I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა სამბოში

დიმიტრი მულაძე - მწვრთნელი

ზაურ დვალაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში, ჭიდაობა ძიუდოში I ადგილის დაკავებისთვის

ბეგლარ ხარშილაძე - მწვრთნელი

მულაძე დიმიტრი - საქართველოს ჩემპიონატზე ვეტერანებს შორის I ადგილის დაკავებისთვის

ლუკა მაისურაძე, - გრანსლემზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ლუკა მაისურაძე სოფლიო მასტერსის ტურნირზე III ადგილის დაკავებისათვის ჭიდაობა ძიუდოში;

ლუკა მაისურაძე - თბილისის გრანსლემზე II ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლუკა მაისურაძე - მსოფლიო ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ლუკა მაისურაძე - მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდურში III ადგილის დაკავებისთვის ჭიდაობა ძიუდოში.

ბეგლარ ხარშილაძე ,ბუხუტი ბუხრიკიძე - მწვრთნელები

საბა ჩილაშვილი - საქართველოს ჩემპიონატზე, 17 წლამდელებში, I ადგილის დაკავებისთვის.

საბა ჩილაშვილი - საერთაშორისო ტურნირზე ,,გამარჯვების თასი“ 17 წლამდელებში I ადგილის დაკავებისთვის.

კახაბერ ლომიძე - მწვრთნელი

გურამ გოგიჩაშვილი - ევროპის ჩემპიონატზე I ადგილის დაკავებისთვის

დავით სტეფანოვი - მწვრთნელი

დიმიტრი მულაძე --- ძიუდო ვეტერანები, სლოვენია, ქ. პოდჩერეკი ევროპის ჩემპიონატი ბრინჯაოს მედალი.

გიგა ოდიკაძე - ძალოსნობა 20 წლამდელები, რუმინეთი, ქ. ბუქარესტი, ევროპის ჩემპიონატი, ვერცხლის მედალი.

გიორგი ხარაზიშვილი -- ძალოსნობა, 20 წლამდელები, რუმინეთი, ქ. ბუქარესტი, ევროპის ჩემპიონატი, ბრინჯაოს მედალი.

ზაურ დვალაშვილი -- ძიუდო, მსოფლიო უნივერსიადა, ჩინეთი, ქ. ჩენგდუ, ბრინჯაოს მედალი

თორნიკე ტაბატაძე - ძალოსნობა 20 წლამდელები, რუმინეთი, ქ. ბუქარესტი, ევროპის ჩემპიონი.

ლუკა მაისურაძე - მასტერსი, მე-2 ადგილი ჭიდაობა ძიუდოში.

დავით კილაძე - საქართველოს ჩემპიონი ძალოსნობაში.

მიშიკო ნოზაძე - მსოფლიო თასი ჭიდაობა სამბოში -მე-3 ადგილი

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

რამაზ ხარშილაძის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,

მერიისა და საკრებულოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში,

მარათონი- „შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები-2023“,

საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში;,

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში,

საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

დავით დათიაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,

სურამში, რაგბის ფესტივალი „სურამის თასი 2023“,

ხაშურის პირველობა ჩოგბურთში,

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - ბიჭები, მონაწილეობას იღებდა საქართველოს რეგიონული ლიგის ჩემპიონატში.

ხაშურის საფეხბურთო გუნდი „ივერია“ - გოგონები, მონაწილეობას იღებდა ჩემპიონატში „ქალთა ლიგა 2“.

მერაბ ჩიტიაშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში,

დავით გოჩიაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში ,,დურუს თასი 2023,

ვეტერანი ფეხბურთელის, ხაშურის ,,ივერიის” გოგონების მწვრთნელის თემურ კობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში,

ნიკოლოზ ხვედელიძის და ვასო ჩოჩაშვილის სახელობის XIII რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში,

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ლუკა მაისურაძის სახელობის II რესპუბლიკური ტურნირი, ჭიდაობა ძიუდოში,

მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონ შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში,

ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის, შოთა ლომიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში,

ხაშურის საპატიო მოქალაქის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ კვინიკაძის XVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მოყვარულთა ლიგის 2023 წლის სეზონის ფინალი და საზეიმო დაჯილდოება.

ხაშურის კომპლექსუს სასპორტო სკოლაში შეკრებაზე იმყოფებოდნენ:

საქართველოს ქალთა საკათბურთო U – 18, U-20 ასაკობრივმა ნაკრებები,

ვაკის საკათბურთო აკადემია,

თბილისის საფეხბურთო სკოლა,

ვაკის საკალათბურთო აკადემიის გუნდი,

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამით:

აპრილის დასაწყისში, პროექტ „ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის” ფარგლებში, სურამში, ახალგაზრდების ინიციატივით განხორციელდა დასუფთავების აქცია. მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ მოხდა მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და გაზიანი სასმელების და სასმელი წყლის შეძენა.

აპრილი- მაისის თვეში, ორგანიზება გაუკეთდა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე სპორტსმენთა ტრანსპორტირებას. მონაწილეებისათვის მერიის მიერ, შეძენილი იქნა სპორტული ეკიპირება.

ახალგაზრდული პროექტების ფარგლებში, 15 და 25 მაისს, განხორციელდა ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება საქართველოს პარლამენტში.

მოხდა ხაშურის ახალგაზრდული კლუბის წევრების ტრანსპორტირება საქართველოს პარლამენტში.

26 მაისს ორგანიზება გაუკეთდა ხაშურის საზღვრისპირა სოფლების ჩორჩანისა და წაღვლის ახალგაზრდების დასწრებას საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.

საანგარიშო პერიოდში, ყოველკვირეულად მიმდინარეობდა ინტელექტუალური თამაში „ბიგ-რაუნდი“, რომლის ფინალური შეხვედრა, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ, 17-18 ივნისს გაიმართა ქ. ქობულეთში. მოხდა ფინალისტების ტრანსპორტირებითა და სასტუმროს მომსახურებით უზრუნველყოფა. მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

9 მარტს გამართულ სიცილის ლიგის ხაშურელთა გუნდ ,,ცოცხალს“ გაეწია ფინანსური მხარდაჭერა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ივნისის თვეში, დაფინანსდა ახალგაზრდული მედიაკავშირის ინიციატივით დაგეგმილი ჯომარდობის, მშვილდოსნობის, ზიპლაინისა და პეინტბოლის ღონისძიებები ჩითახევში, სადაც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის - ,,მომავლის სახლის“ ბენეფიციარები.

6-9 ივლისს, ფესტივალში ,,ნარინჯისფერი ქობულეთი 2023“ მონაწილეობისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის - ,,მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს დაუფინანსდათ სასტუმროს მომსახურება.

„Let do it“ საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა მრავალი აქტივობა სხვადასხვა მიმართულებით: დასუფთავების, გამწვანების, კედელზე ხატვის აქციები. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოეცა ნარჩენების ურნები.

ივლის--აგვისტოს თვეში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 15-19 წლის 13 ახალგაზრდა ბაკურიანში - ინოვაციურ ბანაკში გაემგზავრა.

აგვისტოს თვეში მოეწყო ხაშურელი ახალგაზრდების მიერ ინტელექტუალური თამაში ,,საზაფხულო ბიგ რაუნდი“.

ახალგაზრდობის სააგენტოს დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ივლისი-აგვისტოს თვეში, ანაკლიის ბანაკში გაემგზავრა საზღვრისპირად მცხოვრები ბროლოსნისა და წაღვლის საჯარო სკოლის 19 მოსწავლე.

სექტემბრის თვეში, ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში, კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის ხაშურის ფილიალის მოსწავლეების იმყოფებოდნენ კავეა თბილისი მოლში.

14 ოქტომბერს, „ხაშურქალაქობის“ დღესასწაული ფარგლებში, გაიმართა „Off-Road Challenge Khashuri”

კონსტანტინე ფრუიძე,
მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის და სპორტის
სამსახურის ხელმძღვანელი

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28)

თუ როგორ იდევნებოდნენ სამღვდელოების წარმოსმადგენლები ხაშურში, ამის ერთ-ერთი მაგალითია მღვდელ სიმონ სარალიძის ირგვლივ შექმნილი ვითარება. მართალია საარქივო მასალებში არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია ს. სარალიძეს, მაგრამ თვით ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის მიმართ, საინტერესოა:

1924 წლის 28 თებერვალს, აღმასკომმა განიხილა ხაშურის ეკლესიის ყოფილი მღვდლის სვიმონ სარალიძის საქმიანობის საკითხი. გაირკვა, რომ: ,,იგი ეწევა ფარულ აგიტაციას სარწმუნოების სასარგებლოთ და სწევს პროვოკაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“.

საკმაოდ მძიმე ბრალდებაა.

აღმასკომმა დაადგინა: ,,მღვდელი სვიმონ სარალიძე, როგორც შემჩნეული ფარულ აგიტაციაში სარწმუნოების სასარგებლოთ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობაში, იყვეს განდევნილი ხაშურის ფარგლებიდან სამუდამოთ“.

აღმასკომმა საჭიროდ ჩაითვალა დადგენილების ასლი გადაგზავნოდა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს, იქვე მიუთითებდა: ,,... ყოველივე გამოეცხადოს აღნიშნულ მღვდელ სარალიძეს ხელწერილის ქვეშ, რათა მან დატოვოს ხაშურის რაიონი ერთი კვირის განმავლობაში“.

საქართველოს კპ გორის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 26 მარტის დადგენილებით ხაშურის რაიკომს წინადადება მიეცა. სამაზრო კომიტეტისათვის წარედგინა ,,...მღვდელ სარალიძის შესახებ ყოველგვარი მასალები უკანასკნელის კონტრრევოლუციის მოქმედების შესახებ“.

არქივში შემონახულია სიმონ სარალიძის ორი განცხადება და ერთი ხელწერილი, რომლებშიც კარგად ჩანს მისი ,,კონტრრევოლუციური” საქმიანობა. როგორც ჩანს, 6 მარტს, რაისაბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება ს. სარალიძის ხაშურიდან გასახლების შესახებ. მას გადაწყვეტილება 14 მარტს გააცნეს და ხელწერილიც ჩამოართვეს, რომ დაემორჩილებოდა მას და სისრულეში მოიყვანდა მის მიმართ გამოტანილ განაჩენს: ,,1924 წლის მარტის 14 დღესა, მე ქვემორე ამის ხელის მომწერელს მღვდელს სიმონ სარალიძეს დღეის რიცხვს გამომეცხადა ხაშურის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების შინაარსი... და ვალდებული ვარ, დადგენილებას დავემორჩილო და მოვიყვანო სისრულეში ერთი კვირის განმავლობაში... წინააღმდეგ შემთხვევაში ვაგო პასუხი აღმასკომის წინაშე და ვიქმნე დასჯილი სისხლის სამართლის ძალით, რაზედაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ“ . მაინც რა ედებოდა ბრალად ს. სარალიძეს?

16 მარტს, ს. სარალიძემ თხოვნით მიმართა ხაშურის აღმასრულებელ კომიტეტს. თხოვნაში კარგად ჩანს მისი ,,კონტრრევოლუციური“ საქმიანობა, ასევე ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი.

,,თითქმის ერთი წელიწადია, - აღნიშნავს ს. სარალიძე, – რაც ეკლესია აღარ მაქვს და ადგილობრივ კომპარტიისა და ხელისუფლებისგან მეძლეოდა წინადადება, დამენებებინა თავი მღვდლობისთვის და შევსულიყავი სამოქალაქო სამსახურში. მაგრამ მე, 51 წლის კაცს, რომელსაც 23 წელი მღვდლობაში გამიტარებია, სინდისი არ მაძლევს ნებას, მღვდლობის ხარისხს თავი გავანებო. ამას გარდა, შარშან გადატანილ საშინელ ტიფის შემდეგ, თვალთა-მხედველობა დამაკლდა და სამსახური ჩემთვის საძნელოა. შემიძლია, მხოლოდ მღვდელ-მოქმედება და მსურდა, გადავსულიყავი იქ, სადაც ეკლესიაც არის და მღვდელ-მოქმედებაც. ამ წელში მქონდა რამოდენიმე შემთხვევა ჩემი სასულიერო მთავრობის წინადადებისამებრ გადავსულიყავი დროებით მაინც, მაგრამ ჩემი ცუდი ოჯახური პირობები ამის ნებას არ მაძლევდა... ასეთი ოჯახური მდგომარეობის გამო ვცდილობდი და ვცდილობ, ან სიტყვით, ან საქმით, არ დავიმსახურო ადგილობრივი ხელისუფლების რისხვა, მაგრამ როგორც სჩანს, ჩემს ლოიალობას და კეთილგანწყობილებას მუქთად ჩაუვლია და ბოლოს კიდევ მავიწროვებენ.

ვსთხოვ აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს მხედველობაში ჩემი ზემოხსენებული ოჯახური მდგომარეობა და იშუამდგომლოს ვისთანაც და სადაც ჯერ არს, არ მოიყვანოთ სისრულეში 6 მარტს მიღებული ჩემს შესახებ დადგენილება და არ მომაშოროთ ოჯახს“.

ს. სარალიძემ 19 მარტს ახალი განცხადებით მიმართა აღმასკომს. განცხადებაში, რომელშიც იგი განმარტავს თუ რატომ შეიძლებოდა, აღმასკომს მიეღო 6 მარტის დადგენილება მისი ხაშურიდან გასახლების შესახებ. მასში ნათქვამია:

,,..6 მარტის დადგენილება ჩემს შესახებ გამოწვეულია უბრალო შემთხვევითი გაუგებრობით. ზემო ჭალის წარმომადგენლები ეკლესიის გახსნის შესახებ, როცა ჩასულან გორში, იქ მათ დახმარებიათ ჩემი მოგვარე მღვდელი, ვინმე სარალიძე, როგორც მდივანი საეპარქიო კანცელარიისა და მას სხვათა შორის ეთქვა მათთვის, რომ მან გახსნა ეკლესია ბორჯომში და თვითონ ის მიდის იქ მღვდლათო, ეცადეთო და თქვენც მოგეცემათო. ისინი ალბათ, რომ დაბრუნდებოდნენ, ილაპარაკებდნენ, რომ გორში მღვდელმა სარალიძემ (სახელი არ ეცოდინებოდათ) დიდი დახმარება მოგვცაო. გაიგებდა ვინმე და ჩემზე გაიფიქრებდა. ის მღვდელი დღეს ბორჯომშია“ . 1924 წლის 21 მაისს, ხაშურის რაიკომის მდივანი აღმასკომიდან მოითხოვდა სამაზრო აღმასკომის დადგენილების საფუძველზე წარეგდინათ მღვდელ სარალიძის შესახებ ,,...ყოველგვარი მასალები მის კონტრ-რევოლუციურ მოქმედებებზედ“.

უფრო ადრე, 7 აპრილს, სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სარალიძის საკითხი განუხილავს ხაშურის რაიკომის პლენუმის გაფართოებულ სხდომას და რეაგირებისათვის მთელი მასალა გადაუცია ხაშურის აღმასკომისათვის.

ს. სარალიძის ამ განცხადებიდან კარგად ჩანს, თუ რა მცირე, პატარა გაუგებრობა იყო საკმარისი, რომ სამღვდელოების მიმართ გარკვეული რეპრესიები გაეტარებინათ. რა ბედი ეწია მღვდელს სარალიძეს ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მოახლოებულმა აგვისტოს აჯანყებამ, რომ არაერთი სასულიერო პირი შეიწირა, ეს ფაქტია. მარტო გორის მაზრაში დახვრეტილ იქნა 29 მღვდელი, მათ შორის ხაშურის რაიონიდან დახვრიტეს იოსებ ბებიაშვილი, სერგი გელაშვილი და სხვები. 1924 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ უდიდესი რეპრესიები განიცადა ქართველმა სამღვდელოებამ.

ქართველი სამღვდელოების მიმართ თუ როგორი უარყოფითი პოზიცია დაიჭირა ხელისუფლებამ 1921 წლის შემდეგ და რამაც თავისი გამოვლინება განსაკუთრებით 1924 წელს ჰპოვა, ეს შეიძლება, ხაშურის რაიონის არა-ერთი მაგალითითაც დადასტურდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამღვდელოება, ისევე როგორც სხვაგან, ხაშურის რაიონშიც რევოლუციამდე ძალზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი, კულტურული ცხოვრების ამაღლებაში. განუზომელია მისი საქმიანობა სახალხო განათლების სფეროში.

როგორც რაიონში მიღებული რეზოლუციებიდან ჩანს, 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებში ერთ-ერთ წამყვან ძალად სამღვდელოებას თვლიან და მოითხოვენ მის სასტიკად დასჯას. სამღვდელოების და, კერძოდ, ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედება რაიონში უფრო ადრე დაიწყო. იხურებოდა ეკლესიები, იდევნებოდა სასულიერო წოდების წარმომადგენლები. ამ საქმეში, ხელისუფლებასთან ერთად, განსაკუთრებით აქტიურობდნენ კომკავშირლები.

ეკლესიების დახურვა-განადგურებაში ადგილობრივ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, მაგალითს ცენტრალური და გორის სამაზრო ხელისუფლება აძლევდა. 1924 წლის 9 აპრილის გაზეთ ,,კომუნისტში“ გამოქვეყნებულია ვ. ქურდაძის წერილი ,,აღმშენებლობა გორის მაზრაში“. თუ რას ნიშნავდა ვ. ქურდაძის თაობის ბოლშევიკებისათვის აღმშენებლობა, კარგად ჩანს წერილის ერთი პატარა ნაწყვეტიდან: ,,ქალაქ გორში საყდრების ნანგრევი თლილი კლდეებით კეთდება ქუჩების გვერდზედ რუები. მასთან სწარმოებს არყის ხეების გეგმით ჩაყრა, რაც უმზადებს გორს სურნელობით შემკობილ სილამაზეს... ასეთია გორის მაზრაში აღმშენებლობითი მუშაობა“.

როგორც ვხედავთ, გორის მაზრაში ,,აღმშენობლობითი“ მუშაობა ეკლესიების ნგრევაში და მისი ქვებით გზების თუ ქუჩების მოკირწყვლაში მდგომარეობს. მართალია, ასეთ ფაქტებს ხაშურის რაიონში ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მცდელობა მაინც იყო. მაგალითად, სურდაT დაენგრიათ წრომის შესანიშნავი ეკლესია და მისი ქვებით სკოლა აეშენებიათ. ამ პერიოდიდან, ხაშურის რაიონში უფრო ფართო ხასიათი მიიღო ეკლესიების არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ.

სამაზრო ხელმძღვანელების მიერ მაზრაში დაწყებულ ,,აღმშენებლობით“ მუშაობას შესანიშნავად აუღო ალღო რაიონის ხელმძღვანელობამაც, და მთელ რიგ სოფლებში ეკლესიები გადაკეთებულ იქნა კლუბებად, სამკითხველოებად, კოოპერატივებად და სხვა. მარტო 1924 წელს კლუბებად გადააკეთეს ზემო ჭალის, ნაბახტევის, სურამის, ტეზრის და სხვა ეკლესიები.

1924 წლის 22 აპრილს, ხაშურის მაშინდელ კინოთეატრში შედგა რაიონის უპარტიო გლეxთა მეორე კონფერენცია და დელეგატების ,,საღი და მიზანშეწონილი მსჯელობის“ შედეგად გადაწყვეტილებაც ,,შესანიშნავი“ მიიღო: ,,აღსანიშნავია საღი და მიზანშეწონილი მსჯელობა დელეგატებისა, მათ შეიგნეს თუ რა არის მათთვის სასარგებლო თუ ან საზიანო და ერთხმად მოითხოვეს ეკლესიების გადაკეთება კლუბებად და კოოპერატივებად, ვინაიდან ასეთები ხაშურის რაიონში მეტად მცირეა“.

ეკლესიების გადაკეთება კლუბებად განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში.

12 აგვისტოს გაიმართა სოფელ აზარმის კომუჯრედის კრება, რომელმაც სოფელ კლდისწყაროს სკოლის შსახებ შემდეგი დადგენილება მიიღო: ,,ეთხოვოს რაიპარტკომს, რათა გამართოს აღმასკომმა სოფელ კლდიწყაროს ყოფილი ეკლესიის შენობა“ სკოლისათვის. აზარმელების ამ მოთხოვნაზე ხაშურის რაიკომმა რეაგირება არ დააყოვნა და 18 აგვისტოს პლენუმმა განიხილა კლდისწყაროს ეკლესიაში შრომის სასწავლებლის გახსნის საკითხი და მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება: ,,მიეწეროს აღმასკომის კომფრაქციას, მიეცეს კატეგორიული წინადადება სწავლის დაწყებამდის გადააკეთოს კლდისწყაროს ყოფილი ეკლესია სასწავლებლად და მოამზადოს ხსენებული სასწავლებლისათვის მთელი ინვენტარი“.

ასეთი კატეგორიული ,,წინადადების“ მიხედვით დაიწყო რაიონში ეკლესიების დახურვა და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

,,კულტურის ტაძარი“. ამ სათაურით გამოქვეყნდა გაზეთ ,,სპარტაკში“ სურამიდან გაგზავნილი პ. გაგნიძის წერილი, რომელშიც ნათქვამია: ,,ეკლესიების კლუბებად და სამკითხველოებათ გადაკეთება დიდი წარმატებით დამთავრდა, ამ საქმის ხელმძღვანელი კომკავშირი იყო.

დღეს იქ, სადაც წინათ გონებრივად ჩლუნგდებოდა ახალგაზრდობა, - არის მოწყობილი კულტურის ტაძრები. აქ მრავლათ დადიოდა გლეხი-ახალგაზრდობა და კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს“.

უფრო ადრე კლუბად გადააკეთეს ტეზერში ეკლესია და ს. წეველიძეც თავმოწონებით აქვეყნებს წერილს - ,,ჩვენი მუშაობა“ გაზეთ ,,სპარტაკში“

,,1923 წლიდან სოფელ ტეზრის უჯრედი აქტიურ უჯრედს წარმოადგენდა. უჯრედში არის სულ 40 წევრი. ამ წევრების საქმიანური მუშაობით გაკეთდა კლუბი სოფელ ტეზრის ყოფილ ეკლესიის დარბაზში, სადაც პირველად ჩატარდა საღამო. დადგა ,,რევოლუციის მოლოდინში“, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო“.

ნაბახტეველებმა არა თუ მარტო კლუბად გადააკეთეს ეკლესია, არამედ მასში კომკავშირის ბიუროც მოათავსეს. ,,ეკლესია გადავაკეთეთ კლუბათ“, კ. მჭედლიძის ამ სტატიაში ვკითხულობთ: ,,სოფელ ნაბახტევის უჯრედი 1921 წლიდან არსებობს. მას მრავალი ნაკლი ჰქონდა. უმთავრესი ხელის შემშლელი გარემოება იყო ბიუროსა და კლუბის უქონლობა.

ეს ნაკლი უკვე გამოსწორებულია. ადგილობრივი ეკლესია გადავაკეთეთ კლუბათ, მასშივე არის მოთავსებული ბიურო.

აქედან დაწყებული კავშირის მუშაობა, თანდათან წინ მიწევს. კრებების რიცხვი მრავლდება, რომელზედაც ვკითხულობთ ,,მეცნიერულ-პოპულარულ პოლიტიკურ საუბრებს და სხვა“.

ამასთან ერთად რაიონში ფართოდ გაიშალა ანტირელიგიური მუშაობაც. თუ როგორ ანტირელიგიურ მუშაობას ეწეოდნენ, ერთი კორესპონდენციიდან პატარა ნაწყვეტის მოტანაც იკმარებდა, რომელიც დღეს ღიმილს იწვევს.

სადგურ ხაშურის მოძრაობის დარგის კომუჯრედი 1924 წლის 30 მარტს საშეფო მუშაობას ატარებდა სოფელ სარტყელაში. სარტყელელებმა ,,დიდი სიხარულით მიიღეს დელეგაცია. გაიმართა მიტინგი. მიტინგზე გამოსული ი. ფერაძე ,,...შეეხო საერთო მდგომარეობას და პარალელი გაავლო საბჭოთა ხელისუფლებისა ქვეყნებისა და ბურჟუაზიული ქვეყნების მდგომარეობას. ნათლად აღნიშნა თუ როგორი გიგანტური ნაბიჯით მიიწევს წინ საბჭოთა ქვეყნები, როგორც პოლიტიკურათ, აგრეთვე ეკონომიურათ.

მიტინგზე გამოსული მოძრაობის დარგის კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ე. კალანდაძე ,,სხვათაშორის შეეხო სარწმუნეობას და მღვდლების თვალთმაქცობას და დაამტკიცა ბევრი მაგალითების აღნიშვნით მათი მუშათა-გლეხთათვის მავნებლობა.“

ამის შემდეგ მიტინგის წინაშე გამოდის გლეხი ნიკალა კოტეს ძე გელაშვილი სამი თვის ბავშვით ხელში და სთხოვს მიტინგს, რომ ვინაიდან ის სრულიად დარწმუნებულია სამღვდელოების სიყალბეში, ეს მისი შვილი ქალი სამი თვისა იქნეს დღეს კომუნისტურ წესით მონათლული. მთელი მიტინგი ამ განცხადებას აღტაცებით შეხვდა. კომუჯრედის სახელით საშეფო კომისიამ აიყვანა რა ხელში ის ბავშვი, ვრცლად გააცნო გლეხობას მნიშვნელობა კომუნისტურად ბავშვების მონათვლისა. ბავშვს სახელათ უწოდეს კლარა (ალბათ კლარა ცეტკინის საპატივსაცემოდ - თ. ლ.), ბავშვზედ ნათლობა მიიღო კომუჯრედმა და დაასაჩუქრა რვა მილიარდი მანეთით. მომავალში აღუთქვა მოვლა და პატრონობა“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- გაცვლითი პროექტი სკოლებს შორის -

ლიეტუვა - საქართველოს მეგობრობას ხაშურელი მოსწავლეებიც ამყარებენ

ვფიქრობ, ცოტა დაგვიგვიანდა კიდეც მკითხველისათვის სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლისა და რადვილიშკოს ლიზდეიკოს გიმნაზიას შორის დაწყებული

სტუმრად ქალაქის მერიაში

ძალიან საინტერესო, თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ მოგვეყოლა. გასულ წელს სკოლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი დაიდო, 2024 წლის 18 ივნისიდან 26 ივნისამდე, კი ლიეტუვამ ქალაქ რადვილიშკოში მოსწავლეთა გაცვლით პროექტს - „კულტურათაშორისი თანამშრომლობა ლიეტუვა-საქართველო“ უმასპინძლა. ხაშურის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორს თამარ ხადურს ვთხოვეთ ხაშურის დამეგობრებულ ქალაქ რადვილიშკოში ლიზდეიკოს გიმნაზიის სასკოლო საზოგადოების სტუმარ-მასპინძლობის შესახებ გაეზიარებინა. საუბარი ვრცელი და საინტერესო იყო. გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, კი ბუნებრივია მკითხველს, ქალბატონ თამარისა და პროექტის მონაწილე რამდენიმე მოსწავლის შთაბეჭდილებებისა და ემოციების მთავარ, ჩვენი ფიქრით, მნიშვნელოვან შტრიხებს გავუზიარებთ. პროექტის ფარგლებში ლიეტუვაში სკოლის 13 კაციანი ჯგუფი გაემგზავრა, 10 მოსწავლე და 3 მასწავლებელი. მათ შორის სკოლის დირექტორი თამარ ხადური, რომელიც აღნიშნავს, რომ გაცვლითი პროექტი სკოლებს შორის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პროფესიული განვითარების წახალისებას, გამოცდილების, პრაქტიკების გაცვლასა და გაზიარებას ითვალისწინებდა. პროექტის მონაწილეებს შორის იყო ძალიან თბილი და ა

მეგობრობის ბანერი

მეგობრული დახვედრა. ბავშვები პირველ დღეს ლიეტუველი მოსწავლეების ოჯახებში დაბინავდნენ საცხოვრებლად. გაიცნეს მასპინძელი გიმნაზია და ოჯახები. „პირველივე დღეს სასკოლო საზოგადოებასთან წარვადგინეთ საქართველო და ხაშური. ჩვენთვის დამახასიათებელი კულტურული შტრიხებით, ტრადიციებით. გავაცანით ჩვენი სკოლის სტრუქტურა და განათლების სისტემა“, - აღნიშნავს თამარ ხადური. ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია სკოლის გამართული ინფრასტრუქტურა და საგნობრივი ლაბორატორიები. მეორე დღიდან კი სასწავლო თავგადასავალი იწყება. საინტერესოა რომ ლიზდეიკოს გიმნაზიაში მხოლოდ საშუალო საფეხურის სწავლებაა, ცალკე ფუნქციონირებს დაწყებითი და საბაზო სწავლების სკოლები. ქალბატონი თამარი საუბრის დასაწყისშივე აღნიშნავს ერთ ძალიან მნიშვნელოვან ამბავს. რომ მათი სტუმრობისას ლიზდეიკოს გიმნაზიაში მკაცრ რეჟიმში მიმდინარეობდა სკოლის დამამთავრებელი გამოცდები, რომლის შედეგებითაც მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას. გამოცდების წინა პერიოდში პედაგოგები გიმნაზიაში მოსწავლეებს საგამოცდოდ წვრთნიან. „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ლიზდეიკოს გიმნაზიის გაცვლითი პროექტი, მოიცავდა ექსკურსიებს, დავათვალიერეთ სხვადასხვა ქალაქი: ტრაკაი, სვენტოჯი, პალანგა, კლაიპედა, შილუვა, შიაულია და ვილნიუსი თავისი ღირსშესანიშნავი ადგილებით. პროექტის ნაწილი იყო სპეციალური მასწავლებლის მიერ დაგეგმილი 4 დღიანი ბანაკი ბალტიის ზღვისპირა ქალაქში, რომლის ფარგლებში ხაშურელი და რადვილიშკოელი მოსწავლეები ერთმანეთს საკუთარი ქვეყნების კულტურას უზიარებდნენ. იყო საინტერესო საღამოები ზღვისპირზე, გართობები, სპორტული აქტივობები, სიმღერები“. ხაშურის #6 საჯარო სკოლის დირექტორი თამარ ხადური:

- რადვილიშკის ლიზდეიკოს გიმნაზიელებს ყოველწლიურად განსაკუთრებული შესაძლებლობა ეძლევათ ზაფხული შინაარსიანად და შემოქმედებითად გაატარონ ბანაკებში. ასეთი შესაძლებლობა შესთავაზეს ჩვენს მოსწავლეებსაც. ბანაკის დღეები ძირითადად მოიცავდა სპორტულ აქტივობებს და ბავშვებისათვის იყო ძალიან საინტერესო. ჩვენი მასპინძლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. გიმნაზიას აქვს დიდი სპორტული მიღწევები კალათბურთში, მათ რამდენჯერმე მოიპოვეს ლიტვის ყველაზე სპორტული სკოლის ჯილდო. ვცხოვრობდით ბანაკის რეჟიმით, გვქონდა ლაშქრობები, ველოსიპედებით მსვლელობა, დავათვალიერეთ ქალაქები, მათი ღირსშესანიშნაობები, ტაძრები, გაგვაცნეს მათი ქვეყნის კულტურული ღირებულებები, რელიგიური მრწამსი. სხვათა შორის, სკოლაში სწავლობენ მორალური აღზრდის საგნებს - რელიგიასა და ეთიკას. ითვალისწინებენ ყოველი მოსწავლის მრწამსს

ჯვრების გორა

და თუ არ აქვს მას სურვილი, ის არ ესწრება რელიგიის გაკვეთილს და ესწრება ეთიკის გაკვეთილებს. ძირითადად რელიგიის გაკვეთილს ესწრება კლასების სრული შემადგენლობა. ძალიან შთამბეჭდავი იყო ექსკურსია ჯვრების გორაზე, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ ლიეტუვაში, შიაულაში, სადაც მილიონობით ჯვარია სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული ადამიანების მიერ შეწირული. ადგილობრივების აზრით, ყველა, ვინც ამ გორაზე დადებს თავის ჯვარს, იქნება ბედნიერი და იღბლიანი. ათასობით ადამიანს სჯერა ამის და მიდის იმ გორაზე თავისი ჯვრის დასადებად. არსებობს ტრადიცია ლიზდეიკოს გიმნაზიაში 15, სკოლის კურსდამთავრებულები ამზადებენ ჯვარს და ტოვებენ გორაზე. ჩვენც დავტოვეთ გორაზე მართლმადიდებლური ჯვარი.

მასპინძელ ოჯახში

გამოწვევა; თამარ ხადური:

- მოსწავლეთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე და მისი მოადგილე. სტუმრობდნენ იგივე სტატუსის მქონე მოსწავლეთა ოჯახებს. ის, რაც განასხვავებს იქაური სკოლის თვითმმართველობას, არის მათი გაცილებით დიდი შესაძლებლობები ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენი მოსწავლეები პროექტების უმრავლესობას გეგმავენ ისე, რომ მწირ ბიუჯეტს მოარგონ, ხოლო რადვილიშკოს ლიზდეიკოს გიმნაზიელები პირიქით, მათ დიდი ფინანსური მხარდაჭერა აქვთ, შესაბამისად ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ინიციატივებს.

გიმნაზიის სიმბოლო ბუ

გამოწვევა იყო ზოგადად, უცხო ქვეყნის, უცხო კულტურის ადამიანებთან ურთიერთობა და თანაცხოვრება. მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა ამას კარგად გაართვეს თავი.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე თედო ნოზაძე:

- ეს პროექტი ჩემთვის უდიდესი გამოწვევა იყო. პირველად ვიღებდი მონაწილეობას გაცვლით პროგრამაში. მოლოდინი მქონდა რომ, ეს იქცეოდა დაუვიწყარ მოგონებად და არაჩვეულებრივი შესაძლებლობების წყაროდ. საბედნიეროდ ყველა ეს მოლოდინი გამართლდა და იმაზე მეტად აღფრთოვანებული დავბრუნდი საქართველოში, ვიდრე მოველოდი. ამ პროექტმა დამაყენა გამოწვევის წინაშე, რამდენად შემეძლო დამოუკიდებლად მეცხოვრა განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანების ოჯახში, უცხო ქვეყანაში და ვთვლი, რომ ეს გამოწვევაც წარამატებით გადავლახე.

სასწაულად სუფთა, მოვლილი და მოწესრიგებულია ყველა ქალაქი. ინფრასტრუქტურულად გამართულია სკოლაც და ბანაკიც, სადაც ოთხი ძალიან საინტერესო დღე გავატარეთ. წასვლამდე არ მიფიქრია რომ ასე მეგობრულად და თბილად მიგვიღებდნენ, არანაირი ბარიერი არ ყოფილა ჩვენ შორის და სწრაფადვე დამყარდა ისეთი ურთიერთობა, როგორიც დიდი ხნის მეგობრებს ახასიათებთ. ყურადღებიანი და თბილი ხალხი აღმოჩნდნენ მასპინძელ ოჯახაშიც. ზრუნავდნენ ჩემზე. რაც მთავარია, ეს არ არის ერთჯერადი ურთიერთობა, დავმეგობრდით ოჯახებით და გრძელდება ჩვენს შორის ყოველდღიური კომუნიკაცია.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლის მოსწავლე, პროექტის მონაწილე ელენე ხარაზიშვილი:

- საოცარი დღეები გავატარეთ ლიეტუვაში. გავიცანი და დავუმეგოვრდი ბავშვებს, რომლებიც ძალიან თბილები და გულისხმიერები აღმოჩნდნენ. მათთან დღემდე მაქვს კომუნიკაცია. თითოელი დღე იყო მიზნოვრივი და საინტერესო. შევხვდით ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებს, წარვუდგინეთ ჩვენი ხელით მოქარგული საქართველოსა და ლიეტუვის დროშები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი

(დასასრული VI გვერდზე)

მეგობრობის ბანერი

- გაცვლითი პროექტი სკოლებს შორის -

ლიეტუვა - საქართველოს მეგობრობას ხაშურელი მოსწავლეებიც ამყარებენ

(დასასრული)

იყო ბალტიისზღვისპირა ქალაქში გატარებული დღეები, მათი მასპინძლობა და მასწავლებლების დახვედრა, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავი კომფორტულად გვეგრძნო.

მადლობა ჩვენი სკოლის პედაგოგებს, რომლებმაც საშუალება მომცეს ენით აღუწერელი დღეები გამეტარებინა ლიეტუვაში.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლის მოსწავლე, პროექტის მონაწილე სალომე ლომიძე:

- გავეცანით რადვილიშკის გიმნაზიას. დიდი და ლამაზი გიმნაზიაა... მისვლისთანავე მოსწავლეები ცეკვით შეგვეგებნენ.. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა ულამაზესმა ცეკვამ, მათმა დისციპლინამ და ცხოვრების წესმა, ქალაქის მოწესრიგებულმა ქუჩებმა და ბუნებამ... ძალიან მშვიდი და ლამაზია, ბავშვებმა, რომლებიც ქალაქის ღირსშესანიშნაობებს გვაცნობდნენ. უამრავი სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ.

გვიყვებოდნენ ქალაქის ისტორიებს. დასამახსოვრებელი იყო ქალაქის მერთან სტუმრობა, რომელმაც მოცეკვავე ფანტანი დაგვახვედრა... ჩემი უსაყვარლესი მასპინძელი გაბია და მათი მეგობრული დამოკიდებულება... საბოლოოდ, ძალიან გამიჭირდა მათთან განშორება, სიტყვებიც კი ვერ გადმოსცემს იმ ემოციებს რაც იქ განვიცადე...

ლიზდეიკოს გიმნაზიაში სწავლა 1 სექტემბერს იწყება და 26 ივნისს მთავრდება. საქართველოს განათლების სისტემისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტი სასწავლო დღეები და ოთხჯერ არდადეგები აქვთ. გაკვეთილები იქაც 45 წუთიანია, დასვენებები ხანგრძლივი, აქვთ უფასო კვება, სასადილო. სკოლაში მოსწავლე 6-7 საათამდე რჩება. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში გაცილებით მეტია, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა ე წ. განაკვეთიც გაცილებით მაღალია. მასწავლებლები იქაც დღეებს ითვლიან არდადეგების დაწყებამდე. მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლება.

სკოლის დირექტორი მხოლოდ საგანმანათლებლო ლიდერია. იღებენ ორი სახის დაფინანსებას, მუნიციპალურს და სახელმწიფოს. თამარ ხადური: „ვფიქრობ სწავლა მეტად დაფასებულია, მეტი პასუხისმგებლობა აქვს მასწავლებელს სკოლისა და მოსწავლისადმი და მოსწავლესაც სწავლისადმი“.

გაცვლითი პროექტის მნიშვნელოვანი, საინტერესო შტრიხები; თამარ ხადური:

- მათთან არჩევითი საგნები გაცილებით პრაქტიკულია ჩვენთან შედარებით. არა კლასი, არამედ ბავშვი ინდივიდუალურად, რეალურად ირჩევს იმას, რისი სწავლაც სურს. მათ ეძლევათ საშუალება აირჩიონ და ისწავლონ უფრო მეტი უცხო ენაც. მაგალითად, არჩევითი საგანია თეატრი. სკოლას აქვს მინი თეატრალური სივრცე. მოსწავლეები ეცნობიან რა არის თეატრი, როგორია მსახიობების ცხოვრება და ა. შ. წლის ბოლოს ფართო საზოგადოებას სპექტაკლს სთავაზობენ. ზაფხულში თეატრალურ წარმოდგენებს ატარებენ ღია ცის ქვეშ სხვადასხვა საკურორტო ქალაქებში. ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი კი მოსწავლეთა პირად სარგებელსაც ითვალისწინებს. ასევე არჩევითი საგანია მაგალითად მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება. თეატრის, მუსიკისა და ცეკვის სტუდენტები და პედაგოგები ერთობლივადაც ქმნიან მიუზიკლს, რომლის წარმოდგენებსაც ქვეყნის სხვა ქალაქებში დგამენ.

ბავშვები სწავლობენ იმისათვის, რომ სასწავლო წლის ბოლოს ფართო საზოგადოებას წარუდგინონ ნამუშევარი. დიდი სურვილი მაქვს ჩვენთანაც ასეთი სწავლება იყოს, ეს მოტივაციას უზრდის ბავშვებს, სკოლაში ყოფნა არ წყინდებათ. მათთან გამჭოლია ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომელიც გათვალისწინებულია ყველაფერში: კვებაში, აქტივობებში, ურთიერთობებში. ძალიან საინტერესო იყო პრაქტიკული ნაწილი გაკვეთილებზე. ხაშურელმა ბავშვებმა ისწავლეს თიხის და პარაფინის დამუშავების ტექნიკები, დაამზადეს გიმნაზიის სიმბოლო სურნელოვანი პარაფინის ბუ.

საინტერესოა, რომ სკოლას ჰყავს ძლიერი საკალათბურთო გუნდი, მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში და მიღებული აქვთ უამრავი სიგელი და ჯილდო. ზაფხულის პერიოდში სკოლა აწყობს საზაფხულო ბანაკებს წლის წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის. ყველა სტუდენტი, რომელიც მიაღწევს მაღალ აკადემიურ შედეგებს და საუკეთესოა სპორტში, იღებს ლიზდეიკოს ფულად ჯილდოს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჰყავს მიზანზე ორიენტირებული ძლიერი გუნდი. ეს არის მათი პრაქტიკა და არა ხელოვნური, ერთი შეხვედრისთვის დაგეგმილი ერთიანობა. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ მოხალისეობრივ საქმიანობაში, მოსწავლეებსა და სხვა ზრდასრულებს ასწავლიან უცხო ენებს, ხელსაქმეს და ა.შ. არაფორმალურ გარემოში მაქსიმალურად ცდილობდნენ ლამაზი და კარგი კუთხით წარმოეჩინათ თავისი ქვეყანა. სტუმართმოყვარეები აღმოჩნდნენ და კარგი მასპინძლობა გაგვიწიეს.

პროექტის მიზანი იყო ქართველ ბავშვებს ერთი დღით ლიეტუველი ბავშვების ცხოვრებით ეცხოვრათ სკოლაში. საკუთარი კულტურა გაეცნოთ და გაეზიარებინათ. ბავშვებისათვის ლიუტუველ ოჯახებში ცხოვრება ახალი გამოცდილება და გამოწვევა აღმოჩნდა. ის, რაც მოსწავლეების გაოცებასს და გაკვირვებას იწვევდა, ლიეტუველების მიერ ყველა დეტალის გათვალისწინებაა. აოცებდათ მათი თანატოლების თინეიჯერული ცხოვრება. ლიეტუველი ბავშვებისათვის კი საკვირველი ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლების თბილი, თანასწორი ურთიერთობები იყო. თამარ ხადური:

- პროექტი ხანგრძლივია, ოქტომბერში ველოდებით სტუმრებს ლიეტუვიდან, ჩვენი პროექტის ნაწილი ითვალისწინებს ქართულ ტრადიციებსა და კულინარიას. ახალი გამოწვევაა ხაშურელ ბავშვებისათვის ლიეტუველი მოსწავლეების მასპინძლობა ოჯახებში. უკვე ემზადებიან, რომ შესაბამისად დახვდნენ მათ. ძალიან შეიცვალა ბავშვების სამოქალაქო ცნობიერება.

ლიზდეიკოს გიმნაზიელებს ძალიან აინტერესებთ ჩვენი გასტრონომია, საქართველოს ბუნება, განსაკუთრებით მთები. სხვათა შორის, რადვილიშკო სარკინიგზო ქალაქია და ძალიან გავს ხაშურს მემორიალური ელმავლით, რკინიგზის სადგურის ხიდითა და ცნობილი კიბეებით, თითქმის ანალოგია ჩვენი ქალაქის. ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც რადვილიშკოს გიმნაზიის წარმომადგენლებს გააცნობს საქართველოს და ჩვენს ქალაქს.

ინტერვიუ ქალბატონ თამართან, როგორც გითხარით გახანგრძლივდა, მოსაყოლი და სასაუბრო ბევრი იყო. თამარ ხადური საინტერესოდ მოგვითხრობდა გაცვლითი პროექტის მიმდინარეობის საინტერესო დეტალებს, მნიშვნელოვან შტრიხებს, გვიზიარებდა შთაბეჭდილებებს, ამაყობდა საკუთარი მოსწავლეებით. და ერთიც რაც უდაოდ ყურადღებას იმსახურებს. ქართველი მოსწავლეების აშკარა უპირატესობა - ტექნოლოგიების ფლობა და ცოდნაა. ის რაც ლიეტუველმა პედაგოგმა ვერ შეძლო ერთ დღეს შექმნილი ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებისას, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ქართველმა, ხაშურელმა მოსწავლეებმა მარტივად შეძლეს. თვალყურს მივადევნებთ ოქტომბერში დაგეგმილ ლიეტუველების სტუმრობას ხაშურში და მათ შესახებ საინტერესო საგაზეთო რეპორტაჟს წარმოგიდგენთ.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.